



]

# საქართველო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 2124  
20/06/2016

2124-01-4-201606201638



ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში  
სოციალური საცხოვრისის მშენებლობის კონკურსის ორგანიზებისა და გამარჯვებულთა  
გამოვლენისათვის დროებითი კომისიის შექმნის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 მარტის № 133 დადგენილებით განისაზღვრა: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სოციალური საცხოვრისის მშენებლობის კონკურსის ჩატარების წესი და პირობები, საკონკურსო პირობებით მოგებული ლოტების გამოვლენის ფორმულა, საცხოვრებელი ფართის მიმართ სოციალური საცხოვრისის ტექნიკური მოთხოვნები, სოციალური საცხოვრისის მშენებლობის კონკურსის მონაწილის საკვალიფიკაციო დოკუმენტების ჩამონათვალი და დამტკიცდა ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ ხელწერილის ნიმუში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 დეკემბრის №114 დადგენილების საფუძველზე,

ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სოციალური საცხოვრისის მშენებლობის კონკურსის ორგანიზებისა და გამარჯვებულთა გამოვლენის მიზნით, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნეს დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- კონსტანტინე ქავთარაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, /კომისიის თავმჯდომარე, ხმის მიცემის უფლებით/.
- ბექა ყანჩელი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე /ხმის მიცემის უფლებით/.
- გალაქტიონ ტოროშელიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი /ხმის მიცემის უფლებით/.
- პანტელეიმონ კლდიაშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურის უფროსი /ხმის მიცემის უფლებით/.
- მალხაზ ბასილაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის უფროსი /ხმის მიცემის უფლებით/.
- ვლადიმერ ნაკაშიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის უფროსი /ხმის მიცემის უფლებით/.
- იოსებ ჩიჯავაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი /ხმის მიცემის უფლებით/.

2.დროებითი კომისიის მუშაობის ტექნიკური უზრუნველყოფისათვის შეიქმნეს დროებითი კომისიის აპარატი შემდეგი შემადგენლობით:

- ჯემალ გოგრიჭიანი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე
- ირაკლი გიორგაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის

იურიდიული განყოფილების უფროსი.

- შოთა აბუანდაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
- ვარლამ გობეჯიშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
- ზურაბ კუხიანიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის მიმდინარე სამუშაოებზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი.

3.დროებითი კომისიის მუშაობის რეგლამენტი განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 მარტის № 133 დადგენილებით.

4.კომისიამ განსაზღვროს კონკურსის ჩატარების ოპტიმალური ვადები და წერილობითი ფორმით წარუდგინოს შესაბამისი შუამდგომლობა ქალაქის მერს.

5.ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, კონსტანტინე ქავთარაძემ.

6.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქ. №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7.ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

შოთა მურღულია



ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი